№ 19 12 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1875 12 თებერვალი, ოთხშაბათი № 19

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, პორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ 1875 წელს გაზეთი

„დროება“

კვირაში სამჯერ გამოდის

კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

გაზეთის ფასი

ერთის წლისა—8 მან., ნახევარის წლისა —4 მან. და 50 კაპ.

ხელის მოწერა

მიიღება რედაქციაში: მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, პორლანოვის სახლებში და აგრეთვე მელიქიშვილის სტამბაში. გარეშე მცხოვრებისთვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

„დროების კალენდარი“

ქართველებისა, სომხებისა და ფრანგებისათვის შედგენილი და გამოცემული „დროების“ რედაქციისაგან.

ისყიდება: თფილისში — პართენოვის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე სხვა ჩვენ ქალაქებში და უეზდებში.

ფასი ექვსი შაური.

რედაქციისაგან

სამზღვარ გარეთის ხელის-მომწერლებისათვის ვაცხად ბთ, რომ გაზეთი „დროება“ გავზავნით ღირს, წელიწადში:

საფრანგეთში და ოსმალეთში—13 მან.

შვეიცარიაში და გერმანიაში—12 მან.

ვაცხადებთ ამას იმიტომ, რომ ზოგნი ფოჩტის ფულს არ ანგარიშობენ და ჰგონიათ, რომ გაზეთი სამზღვარ გარეთაც 8 მანეთად ღირს.

უმოკრჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელთაც შარშანდელი ანუ წლევანდელი გაზეთის ფული ჯერ არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

საქართველო

დიდი კაცები

„დროების“ რედაქციამ განიზრახა წარუდგინოს თავის მკითხველებს შემოკლებული ბიოგრაფია, ანუ ცხოვრების აღწერა რამდენისამე ისეთი კაცისა, რომელთაც ან თავის საზოგადო მოქმედებით, ან მეცნიერებითი და ლიტერატურული შრომით წინწაუწევიათ როგორც თავის სამშობლო ქვეყნისა, აგრეთვე მთელი კაცობრიობის ცხოვრება.

ყოველი კერძო კაცისა და განსაკუთრებით გამოჩენილი კაცის ცხოვრება მჭიდროთ დაკავშირებულია იმ დროისა და საზოგადოების ცხოვრებასთან, აზრებთან, ჩვეულებებთან და სხვ., რომელშიაც ეს კაცი ცხოვრებდა; და მაშასადამე რომლისამე დროისა და საზოგადოების ერთი პიროვნების ცხოვრების აღწერა მთელ ამ დროის და საზოგადოების აღწერას უნდა შეადგენდეს.

რასაკვირველია, ჩვენ ამისთანა შრომას ვერ ვიკისრებთ გაზეთში.

როგორც ზევით ვთქვით, შემოკლებით აღწერთ გამოჩენილი კაცების ცხოვრებას და რამდენათაც გარემოებანებას მოგვცემს, ვეცდებით, რომ ეს აღწერა სასარგებლო და ადვილათ გასაგები დარჩეს ჩვენი მკითხველი საზოგადოებისთვის.

ძალიან გულით გვინდა, რომ მოვახერხებდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს გამოჩენილი კაცების ცხოვრებაც ჩაურთოთ ამ ჩვენს სერიაში; მაგრამ, საუბედუროთ, ჯერ ამისთვის არც სანდო თანამშრომელი გვეგულება და არც ჯეროვანი მასალები მოიპოვება ჩვენი წასულ ცხოვრების ისტორიაში. ვეცდებით კი, რომ, თუ შესაძლებელი იქნება, ესეც შევასრულოთ...

დიდი კაცები გზის გამნათებელნი არიან კაცობრიობისათვის! იმათი ცხოვრება ყველასთვის სამაგალითოა. ისეთი კაცების ცხოვრების გაცნობა, როგორც მაგალითად შაშინგტონი, გარიბალდი, იოანნე ბუსსი, ჯორჯანო ბრუნო, ბალილეი, ვოლტერი, რუსსო, რბერტ ოუენი და სხვანი, ამისთანა კაცების ცხოვრების გაცნობა, ვამბობთ, ამაღლებენ, აკეთილშობილებენ, ჭკუა-გონებას უხსნიან, თვალს უხელენ კაცსა.

ესენი მთელი კაცობრიობის ოსტატები, მასწავლებელნი არიან.

ესენი გვასწავლიან და თავის ცხოვრებით გვაჩვენებენ, თუ როგორ უნდა ებრძოდეს ყოველი კაცი სხვა და სხვა დამჩაგვრელ ძალებსა, როგორ უნდა სცდილობდეს ადამიანი საუკეთესო ცხოვრების მიღწევას.

ესენი გვასწავლიან საზოგადო კეთილდღეობისათვის თავის კერძო კეთილდღეობისა და ხან-და-ხან ცხოვრების შეწირვასაც!

დიახ, ამისთანა კაცების ცხოვრების გაცნობა ყოველთვის და ყველასთვის სასარგებლო და აუცილებელად საჭიროა და განსაკუთრებით ეხლა ჩვენთვის *).

ს. მესხი

დღიური

□ წარსულ „დროების“ ნომერში ჩვენ დაგვავიწყდა მოხსენება, რომ თავად-აზნაურობის უკანასკნელმა სხდომამ, სხვათა შორის, ერთ-ხმათ გადაწყვიტა საზოგადო მადლობის თქმა აქაური თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. რევაზ ანდრონიკაშვილისათვის, რომელმანც როგორც ბანკის საქმეში, აგრეთვე კრებების თავმჯდომარეობაში ამდენი შრომა მიიღო.

□ ხშირად მოგვდის ამბავი, რომ ჩვენი რკინის გზის ზოგიერთს სტანციებზე დიდი უწესოება არისო; რამდენიმე დღის განმავლობაში უპატრონოთ ჰყრიან საქონელს და დანიშნულ ალაგზე არ ჰგზავნიანო. სხვათა შორის სამტრედიის სტანციზოგიერთს სახელმწიფოებს მარჯვე კაცი ერთი საათის განმავლობაში ერთი სამზღვრიდამ მეორემდინ გაიელიდა! სამ ნახევარი კაცი ქვეშევრდომი ჰყავდათ და შვიდი მცარცველი—ბატონი! რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამისთანა პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი იტალიის სახელმწიფოები სანატრელ ცხოვრებას და კეთილ-დღეობას არ გრძნობდნენ. როგორც ჩვენში, იტალიაშიაც რაც უფრო პატარა სახელმწიფო იყო, ისე უფრო სცარცვავდა ხელმწიფე და ხალხიც ისე უფრო შეიწროებულ და ღარიბ მდგომარეობაში იყო. როგორც ძველად ჩვენში, იტალიასაც ზოგან შინაური ბატონები ჰყვანდა, ზოგან გარეგანი (ავსტრიის) ულელი ადგა კისერზე (ლომბარდიას და ვენეციას, ჩრდილოეთ იტალიას). საერო და სასულიერო უფლება—სახელმწიფო მოხელეები და პატრები—ორიეე ერთნაირათ აწუხებდა მდაბალ, მშრომელ ხალხს და ორიეეს ერთნაირად მიჰქონდათ, რაც კი ხალხს თავის შრომითა და ოფლით შეეძინა. ეს ხალხი, ერთს დროს ასე ამაყი, ასე განათლებული, ეხლა უმეცრებაში და სიღარიბეში იყო ჩავარდნილი ამ სულისა და ხორცის ბატონების წყალობით.

✕

ბოლოს ხალხმა გაიგო თავის დამცირების მიზეზი.

ამ საუკუნის დასაწყისიდამ თითქმის იტალიის ყველა სახელმწიფოებში იწყება ხალხის მოძრაობა და ღრტვინვა. სდგება სხვა და სხვა საიდუმლო საზოგადოებანი, რომელთა განზრახვა ის არის, რომ ხალხი დაიხსნას ამ მდგომარეობიდამ. ამ საიდუმ-

*) მიწყებთ ბარიბალდის ბიოგრაფიით ერთი იმიტომ, რომ ამ ჟამად ეს ყველაზე უდიდესი კაცია და მეორეს მხრით იმიტომ, რომ ახლად პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულით ბარიბალდიმ კიდევ აალაპარაკა ქვეყანა.

ფელეტონი

იოსებ ბარიბალდი

ვის არ გაუგონია ბარიბალდის სახელი! ეხლანდელს დროში მეორე ისეთი კაცი არ მოიძებნება, რომელსაც იმდენს პატივს სცემდნენ, რამდენსაც ბარიბალდის და რომელიც ყველას ისე უყვარდეს, როგორც უყვართ ბარიბალდი. ევროპა გაკვირვებულია იმის საქმეებით, სამშობლო იტალიას ზეციდამ გადმოვლენილ არსებად მიაჩნია და ისე უყურებს, როგორც ნახევარ ღმერთსა! და მართლა რომ გასაკვირველია, საარაკო და ძველად დასაჯერებელია ამ კაცის ცხოვრება და საქმეები.

ბარიბალდის ცხოვრება ისეთ ნაირად გადაბმულია ამ საუკუნის იტალიის ცხოვრებასთან, რომ იმის გაგება შეუძლებელია, თუ ერთი თვალი მაინც არ გადავავლეთ იტალიის უკანასკნელ ისტორიას.

✕

შედარებით რომ ესთქვათ, იტალიის ნახევარი კუნძული, ამ ოცი ოც და ათი წლის წინათ, თითქმის ისეთს სურათს წარმოადგენდა, როგორც ძველად ჩვენი საქართველო: ერთ დროს ძრიელი, აჰყვავებული, თითქმის, მთელი ქვეყნის მბრძანებელი—რომის იმპერა, ეხლა გადაქცეული იყო პატარა იტალიად და ეს პატარა ქვეყანაც რამდენსამე კიდევ უფრო პატარა სამეფოებად, სათავადოებად, რესპუბლიკებად და საგერცოგოებად იყო დაყოფილი. ამ პატარა სახელმწიფოებში განუკითხავად და დესპოტუროთ მეფობდნენ სხვა და სხვა ბატონები — მეფეები.

ოდამ ერთი ეაჭარი გვწერს, რომ ჩემი საქონელი სამი დღე ეყარა სტანციაზე გარეთ და წვიმამ სრულებით გააფუჭაო.

ამას გარდა ზოგიერთ სხვა უწესოებაზედაც გვწერენ, მაგრამ ყველას ჩამოთვლა ძნელია. იმედი გვაქვს, რომ როდესაც ახალი გამგებელი ჩამოვა ფოთი-თფილისის რკინის გზისა, ყველა ამ უწესობას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს....

□ შევიტყეთ, რომ წელს ზამთარში ქახეთიდამ რამდენიმე ათი გლეხი ჩამოსულა სამუშაოთ. ადრე, როცა კახელებს საკმაოთ ჰქონდათ საზრდო და სხვა და სხვა ხარჯის გადახდის ღონის-ძიება, ისინი თავიანთ სოფლებს არ შორდებოდნენ. პირველად სამუშაოთ ქალაქში ჩამოსელა, განსაკუთრებით ქიზიყელებმა, 1872 წელს დაიწყეს, როდესაც იქ დიდი შიმშილობა იყო.

□ ამ უკანასკნელ დროს ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ თ. ნ. ამატუნის ინგლისის კლუბიდამ და ქრუჟოკიდან გამორიცხვაზე. ამას გარდა, როგორც ისმის, უფ. მებურნუთოვისთვის უარი უთქვამთ თფილისის ქრების წევრად მიღებაზე.

პირველმა გარემოებამ ჩვენი არისტოკრატები აალაპარაკა და მეორემ ჩვენი ეაჭრობა. ამბობენ: თუ ასე სასტიკად იქნა პიროვნების გარჩევა, არ გვგონია, რომ ბევრნი შეიქნენ რომლისამე საზოგადოების წევრობის ღირსნიო.

□ თებერვლის ორს ჭუთაისის საზნაურო სახლში ქართულის სცენის მოყვარეთა „ძალათ ექიმი,“ ერთი რუსულიდამ ნათარგმნი ვოდევილი — „მდგმური ტრომბონით“ და ერთიც რუსული ვოდევილი — „Петербургское модное леченіе“ წარმოუდგენიათ. მოთაველ უფ. ტერსტეფანოვი ყოფილა, საზოგადოება ბლომათ დასწრებია და, როგორც გვწერენ, ძლიერ კმაყოფილი დარჩენილა როგორც ქართულის, აგრეთვე რუსულის წარმოდგენით.

წარმოდგენა ორი ახლად კურს-შესრულებული გიმნაზიელის სასარგებლოთ ყოფილა, რომელთთვისაც ასი მანეთი დარჩენილა.

მარხვის დაწყებამდინ კიდევ ორისამი ქართული წარმოდგენის გამართვას აპირებდნენო, გვწერს კორრესპონდენტი, მაგრამ პოლიციამ გამოგვიცხადაო, რომ ზალას გადაკეთება უნდაო, ახალმა პოლკმა ბალი უნდა გამართოსო....

□ წარსულ 24 იანვარს სომხის სცენის მოყვარეთა ნემცების კლუბში ერთი აქაური სომხური საქალებო შკოლის სასარგებლოთ წარმოადგინეს სომხური კომედია და, როგორც გ. „მშაკში“ სწერენ, კარგი შემოსავალი ყოფილა.

□ სომხურს გაზეთს „მეღუში“ იწერებიან ალექსანდროპოლიდამ, რომ ამ ქალაქს 13,000 მანეთი ჰქონია 1874 წლიდამ გამოუყენებელი და ეხლა განუზრახავთ ამ ფულებით ქალაქის ბანკის გამართვაო.

«დროების» კორრესპონდენცია

თელავი, 29 იანვარს.

როდესაც ფოჩტის დღე გათენდება ხოლმე, გული დამიწყებს ძგერას და ჩემი ფიქრები „დროების“ №№-საკენ გაექანებიან — აბა ვინ რას ამბობს ჩვენს თელავზე, მის საზოგადოებაზე და სხვა-და-სხვა მის წინადგანსაზღვრებაებზე, — მაგრამ შემდეგ ნამდვილის „დროების“ ფურცლების გადათვარიელებისა ეხედავ, რომ ყველა პროვინციებიდამ არის ცოტა-ცოტა ამბები, ხოლო თელავიდამ არაფერი.

რითი უნდა ავხსნათ ეს მოვლენება? მე ეფიქრობ: ან არავინ კადრულობს კორრესპონდენტობის როლს და ან ამ როლის ნამდვილად აღსრულებისა ეშინიანთ. უფრო უკანასკნელი უნდა იყვეს მართალი და მერე ჩვენ საქართველოში ან რა გასაკვირველია ამის მართლიანობა! მე ეხლაც ზედ მაზის ის ბეჭედი, რომელიც დამასვა ერთმა ჩემ მიერ „დროებაში“ დაბეჭდილმა კორრესპონდენციამ — და კაცი არ გამოჩნდა, რომელსაც ან ვენუგეშებინე და ან ეთქვა რამე ამ საგანზე. ასეთია ჩვენი ქართველობა!

მაგრამ, რადგანაც მე ჭეშმარიტებისა არ მეშინიან, ვკისრულობ კიდეაც ვაცნობო ხოლმე „დროების“ რედაქციას სხვა-და-სხვა ამბები პროვინციალური ცხოვრებიდამ.

14-ს იანვარს თელავის წმინდა ნინოს ქალების ზაევედენიამ წარჩინებულად გარდაიხადა თავის „პატრონის“ სახელის დღესასწაული. ამ დღესასწაულზე იყვნენ მოწვეულნი გალმა და გამოღმა ალაზნის მხრის წარჩინებულნი პირნი, რომელთაც მიუღიათ და ანუ აწცა მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას ზემოხსენებულის ზაევედენიის ცხოვრებაში და კეთილდღეობაში.

დღესასწაული დაიწყო პარაკლისითა, რომლის გათავების შემდეგ ზაევედენიის ერთმა მასწავლებელთაგანმა უფ. ვ. წაიკითხა რუსულ ენაზედ მოკლე ისტორია ამ ზაევედენიის დაარსებისა და ჩამოთვალა ის პირები, რომელთაც მიუღიათ მონაწილეობა მის დაარსებაში. ხოლო რაც შეეხება მას — თუ რა სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას ამ ზაევედენიამ და რა ნაყოფ' უნდა მოელოდეს იგი მომავალში, და — მას თუ რა ნაირად იხარჯება ფული საზოგადოებისგან შეწირული ამ ზაევედენიაზედ, — უეჭველია, ყოველ ამაზედ იტყვიან მომავალ წელში.

20-ს იანვარს ჩვენი ქართული სცენის მოყვარე საზოგადოება დასტკბა ერთს ქართულ ენაზედ წარმოდგენით, რომელიც იყო სასარგებლოდ წმ. ნინოს ქალების სასწავლებლისა და სომხის ქალების შკოლისა; ამ წარმოდგენისათვის მადლობა უნდა უძღვნათ უფ. ტ—ას, რომელმაც იკისრა დროებითი მოთამაშა (ანტრეპრენიორობა). წარმოადგინეს კომედია რაფ. ერისთვისა „დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარზედ უძლავრესია“ და ხელთნაწერი ვოდევილი მოთავისა, სათაურით: „პირზედ შეჯდომა ერთი სირცხვილია და ჩამოსვლა მეორე“. ჩვენ პროვინციალებს ხომ ხმა არ ამოგვღებია კრიტიკული მსჯელობის მხრივ, არც დეკორაციაზედ და არც აქტიორებზედ — მით უფრო უმეტესად, რომ კიდევ მოველით წარმოდგენაებს რუსულ-ქართულ ენაზედ ამ მოკლე ხანში; მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ურიგო არ იქნება მიიქციონ ყურადღება საზოგადოებისა მამაკაცებმა-აქტიორებმა თავიანთ როლების მარჯვე შესრულებითა, იმდენად, რამდენათაც მიიქციეს აქტიორებმა — ქალებმა.

მინდა ვახარო „დროების“ მკითხველებს ისა, რომ ჩვენ თელავშიაც მალე გაიხსნება ტელეგრაფის სტანცია და ფოჩტის გზა ბომბორზედ, ისე მალე, რომ მოგახსენებენ, ჩვენი შვილი-შვილები უეჭველად მოესწროებიანო...

ქ. ზარაფოვი.

სამეგრელო, იანვრის 25-30

სამეგრელო დიდი ხანია, რაც ქურდობაში განთქმულია. და მართლაც ძველი მეგრელები ისეთ ნაირათ იყვნენ გაწვრთნილნი ამ ხელობაში, რომ ძველათ მოხდებოდა მათი მოპარული საგანი ეისმეს ალმოეჩინა. დღევანდელი მეგრელი, თუმცა ქურდობს ძველებზედ უფრო ბევრს, მაგრამ ისე ნაირი მოხერხებით კი ველარ.

ნოემბერმა და დეკემბერმა გვარიანათ მშვიდობიანათ ჩაიარა ჩვენი მეგრელების ცხოვრებაში, მაგრამ 25 იანვრიდგან შეიქნა არეულ-დარეულობა: ქურდობა და ტ-ცობა თან და თან მატულობს. ა-ე გასინჯეთ, რომ ხუთი დღის განმავლობაში ზედიზედ მოხდა ოთხგვარი ქურდობა.

პირველი ქურდობა მოხდა 25 იანვარს ღამით სოფ. ჭალადიდს. ამ სოფელში შე'ულიყო ორი მეგრელი კაცი, დაეჭრათ ორი სანაშენო მაკე ცხენი და წამოეყვანათ დ. სუჯუნისაკენ. ჯერ კიდევ სუჯუნას ვერ მოაწიეს, შემოათენდათ და არ იციან, სად წავიდნენ, მაგრამ ვითამ აქ არაფერი ამბავიაო და გამოსწვეს პირდაპირ სუჯუნისაკენ, მაგრამ რადგან

ლო საზოგადოებაში პირველი ადგილი კარბონარებისა (მენახშირების) და „ახალგაზდა იტალიის“ საზოგადოებას უჭერავს, რომლის დამაარსებელი გამოჩენილი იტალიის პატრიოტი მაززინია. ყველოვნეთვის, როდესაც ევროპაში, და განსაკუთრებით საფრანგეთში, რაიმე ჩიჩინი, ცოტა-ოდენი მოძრაობა ატყდება, იტალიის ხალხი ბანს აძლევს, სდგება და რევოლიუციით სცდილობს მოიშოროს თავიდამ უანგარიშო ბატონები. ყველას გულში ულვივის განთავისუფლებისა და საერთო მამულის, საერთო იტალიის დაფუძნების სურვილი. იტალიის პატრიოტები და საიდუმლო საზოგადოებანი ავრცელებენ ხალხში თავისუფლების აზრებსა და მმართებლობათა სიძულვილსა. 1830 წელს საფრანგეთში ივლისის რევოლიუციაა; იტალიაშიაც ამ დროს არეულობა ჩნდება. 1848 წელს საფრანგეთიდამ დაწყებულმა რევოლიუციამ თითქმის მთელი ევროპა (რუსეთს და ოსმალოს გარდა) მოიარა და ყველგან ხალხმა თავისთ მმართებლობისაგან განთავისულება მოინდომა; იტალიამაც ბუკი დაჰკრა: თითქმის ყველა პატარა ხელმწიფეები გაჰყარეს და ბევრგან რეპუბლიკა დაიფუძნეს; მაგრამ, როგორც დანარჩენ ევროპის ქვეყნებში, ისე იტალიაშიაც, რევოლიუცია მალე დამარცხებული შეიქნა და ძველმა მართებლობაებმა, ძველმა წესებმა ისევ წაჰპოყო თავი. 1859 არეულობა და ომი: 1860-61 წელში კიდევ არეულობა და კიდევ ომი...

მაგრამ შემდეგ რაც მოხდა იტალიაში, ამას თვითონ ბარიბალდის ცხოვრების აწერის დროს გაიგებთ.

×

ი'ენ ბარიბალდი დაიბადა ნიცაში, 1807 წელს. როგორც იმის შემდეგი ცხოვრება, ისე იმის დაბადებაც საარაკოა: ერთხელ დედა მისი ჩაჯდა პატარა ნავში და დედამიწის შუა ზღვის ნაპირებთან დასეირნობდა. შეცრათ ატყდა ქარი, ზღვა აღელდა და პატარა ნავს რამდენსამე საათს ათამაშებდა. ამდროს ზღვის ღელვისაგან შეშინებულმა ქალმა, მუცლის ტკივილი იგრძნო და ცოტა ხანს შემდეგ კიდეც განთავისუფლდა ორსულობისაგან: იმას დაებადა ნავში ვაჟი, რომელსაც დაარქვეს სახელად ჯუზეპპე (იოსებ).

ზღვის აფიცრის შვილს, ზღვაში დაბადებულს ბარიბალდის საშინლად უყვარდა პატარაობიდამეე ზღვაში მოგზაურობა, და სხვა და სხვა მეცნიერებისა და საგნების სწავლას სრულებით ვერ დაუდო გული. მამას ჰსურდა, რომ იმის ვაჟი ან ადვოკატობისათვის და ან სასულიერო წოდებისათვის მომზადებულიყო; პატარა ბარიბალდი კი მოგზაურობისა, სხვა და სხვა შემთხვევებისა და დაუდეგარ, მოუსვენარ სიცოცხლისთვის იყო გაჩენილი; იმის ცოცხალი, ალით ანთებული ბუნება მშვიდობიანს, წყნარს შრომას და სიცოცხლეს ვერ ითმენდა.

ის განეშწესა მატროსად ერთს სავაჭრო ხომალდზე და რამდენსამე ხანში თითქმის ყველა დედა-მიწის შუა ზღვის ნაპირა ქალაქები შემოიარა.

(გაგრძელება)

—

ყოველმა მეგრელმა იცის, რომ, ქურდი თუარა, მაკე ცხენზე სხვა კაცი არას დროს არ შეჯდება, ამის გამო როცა შეხვედათ გზაზედ ორი მეგრელი, დაუკრეს თავი ჩვეულებრივ და დაუწყეს ლაპარაკი; მაგრამ შემდეგ ისე მოჰახერხეს, ხანჯალში ხელი მოკიდეს და კიდეეაც მოხსნეს. ამის შემდეგ განუცხადეს, რომ გაშვება არ შეიძლება, რადგანაც იგინი ქურდები არიან. ქურდებს სუჯუნის პოლიციის პრისტაეთან წამოიყვანა დაუპირეს და იგინიც თანხმა გახდნენ. დამჭერლები ცხენებზე შებრძანდენ და ქურდები კი ფეხით წამოიყვანეს. გზაზე დიდი ტყე იყო, ქურდებმა უთხრეს ერთმანეთს: ჩვენ გავიქცეთ ამ ტყეში და ეგენი ვერ გამოგვეკიდებიან. მართლა მოქუსლეს. დამჭერლები უცქეროდენ, თითქო იბრალებათ, რომ საწყალმა ქურდებმა ხის გამხმარი ტოტით თვალი არ გაიფუჭონო. ცხენები და ნაცარცვი უფ. სუჯუნის პოლიციის პრისტავს წარუდგინეს, რომელმაც კანონისა-მებრ სულ წარუდგინა საძიებლათ.

მეორე უფრო საყურადღებო ქურდობა მოხდა შეორე ღამეს. ერთ თუ ორ უმღვრთო კაცს ახალ-სენაკის ახლოს მდ. ტეხურის მარჯვენა მხრით რკინის გზის რელსებზედ სიგანით გაუდვიათ ორი თუ სამი ხე, იქ აზრით, რომ მაშინა გადაეგდოთ რელსებიდგან. შიგ მჯდომი კაცები დაეხოცათ და ამასთან ეშოვნათ რამე. მაშინა მისდგომია ამ ხეებს და წასელა გასჭრიეებია; ბოლოს შექნილა ჩვეულებრივი მაშინის სტვენა, იქ ახლო მყოფი გზის უფროსი და ყარაულები თავის სადგომებიდგან გამოცვივნულან და მაშინისაკენ გაქცეულან. ამ დროს ეს ავაზაკი კაცი შესულა გზის ყარაულის სახლში და რაც რამ ყოფილა სულ წაუღია. ამაზე იმ საათშიეე სტანციის ზედა-მხედველმა სენაკის მაზრის მმართველს მოახსენა და მან იმ წამსვე ქურდების მოსაძებნათ გაგზავნა უფ. ბ. ქავთარაძე, რომელმაც დიდის ცდის შემდეგ აღმოაჩინა იმ ღამესვე ავაზაკი და უეზდის ნაჩალნიკს წარუდგინა. ეს კაცი ეხლა სატუსაღოშია და საქმის გარემოებაზე გამოძიებაა დანიშნული.

მესამედ, 30 იანვარს ურიების სალოცავში შეეიდა ვიღაცა ფანჯრიდგან და რამოდენიმე მანეთის საღირალი ნივთები წაიღეს. ამ უკანასკნელ დროს სუჯუნას მდგმური ურიები ძალიან შეავიწროეს მეგრელებმა.... სახელად და ქებად მიაჩნიათ ამ კაცებს ურიების შეწუხება.

მეოთხე ქურდობაზედაც მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა, მაგრამ ამგვარი ქურდობა ახალი გამოგონებაა ჩვენშიდა ამის გამო იმაზე ცალკე უამბობ მკითხველებს.

ანთიმოზი

შვილის აღმზდელი დედები-თითონ აუზდელები

—

უბედურია ქართველი ქალი! იბადება თუ არა, დედა დაღონებული და გულ-აშფოთებული უცქერის ცოდვილს შვილსა, როგორც ეძახიან ქართველები. მაშინ იქ მყოფნი ულოცავენ შემდეგი სიტყვებით:

„მოგვილოცამს თქვენი მშვიდობით განთავისუფლება; მადლობა ღმერთსა, რახან შენ მშვიდობით გადარჩი! ქალს ნუ იწუხებ, ღმერთის გაჩენილია და ღმერთი დაარჩენს.“

ეს სიტყვები ცხადად გვიმტკიცებენ—თუ როგორ სამწუხაროა ქალი მშობლებისთვინ. ჩვენი მშობლები ქალს უცქერიან ისე, როგორც ოჯახიდგან წამოვლელს და ოჯახის დამღუპელს; ამიტომ მშობლები ცდილობენ, რომ როგორმე ჩქარა და იაფათ თავიდგან მოიშორონ ქალი: შესრულდება იმათი ქალი ცამეტის წლისა თუ არა, მაშინვე საქმროს იპოვიან და მიაჩეჩებენ, არ დაიცდენ: შეუძლიან იმათ ქალს ქმარ-შვილობის მოვალეობის აღსრულება თუ არა; ოღონდ კი მღვდელმა კანონის წესით ჯვარი დასწეროს.

ამ დროს უმანკო ქალმა არ იცის—თუ რა არის ქმარი და რა მოვალეობა ადევს ქმრისა და შვილებისა. ის უფიქრელათ და უზრუნველათ მშობლების ბრძანებით მისდევს უცხო კაცს.

მიეცემა შვილი; არ იცის როგორ მოუაროს: ბევრჯელ მშიერს დაადგებს, ბევრჯელ ხელიდგან დაუარდება, ბევრნი აკვანშიაც ამოახრჩობენ ხოლმე თავიანთ უგუნურებისა გამო.

შემდეგ, როცა ქალი იზრდება და ჭკუაზედ მოდის, მაშინ გრძნობს, რომ იმას არა ჰყავს ისეთი მეგობარი, როგორიც თითონ ჰსურს; ხშირათ უხდებათ უკმაყოფილება, ქალი სწყევლის და აგინებს მშობლებს, მაგრამ რალას უშველის? სიკვდილის მეტი რა გ ჰყრის იმათ, მათზედ აღსრულდა საიდუმლო ქორწინება და მადლი ღვთისა გადმოვიდა....

რო ზემოხსენებული ნამდვილი ჭეშმარიტებაა, მე მოგახსენებთ რამდენს მე მაგალითს, რომლებმაც გამბედვინეს ამ მცირე შენიშვნის დაწერა.

ოცდა ცხრა იანვარს მე მომიხდა შეველა ჩემი ნაცნობის ქალის სახლში, სადაც მაჩვენეს ცამეტი წლის პატარა ქალი, რომელიც ტანად იყო ექვსი წლის ქალის ტოლა. როდესაც მითხრეს, რო ის იყო დანიშნულია და ჯვარიც მალე უნდა დაეწერათ, მე განცვიფრებული არ ვერწმუნებოდი—თუ ის იქნებოდა ცამეტის წლისა; მაგრამ მისმა დედამ ნამდვილათ დამარწმუნა. მაინც კიდევ მაკვირვებდა იმ ქალის ყმაწვილური ლაპარაკი და ქცევა.

თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი უნდა იყვეს ამისი შვილი! ბევრი ველაპარაკე მის დედას თუ რა საძაგლობას სჩადიან, რომ უსუარ ბავშვებს უდროოთ ათხოვებენ, რომლითაც სიცოცხლეს უმოკლებენ და ხდებიან მიზეზნი მრავალი უბედურობისა.

ეს კიდევ არაფერი: ჩვენს სოფელში ერთმა გლეხმა ითხოვა ცამეტის წლის ქალი, როდესაც ქალი, მოიყვანეს შინ, მოაგონდა დედა, ამოუჯდა გული, დაიწყო ტირილი და დედის მოკითხვა.

ერთმა ორმოცდა ათის წლის აზნაურმა ითხოვა თორმეტი წლის აზნაურის ქალი,—ეს ხომ სრულიად არ მიჰკარებია ქმარს.

თფილისში ერთმა აფიცერმა შეირთო ერთი ახალგაზდა ქალი—და ფიქრობდა: „ეს ქალი ეხლა პატარაა, ჩემ ჭკუაზე გავზდიო;“ მაგრამ ქალი, როდესაც ჭკუაში ჩავარდა, სხვა ამოირჩია მასწავლებელად....

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ—თუ როგორ აღზრდიან ამისთანა დედები შვილებს; ამისთვის წარმოგიდგენთ რამდენსამე მინუშს მათი ცხოვრებიდგან:

ერთ სოფელში თოთხმეტი წლის ქალს მიეცა შვილი; ერთ ღამეს ყმაწვილს წინა არტახი აეხსნა და აკვნიდგან გადმოეკიდა; ყმაწვილმა ბევრი იტირა, დედას ეზარებოდა ლოგინიდგან ადგომა და აკვანს ფეხით დაუწყო დარწმა. ყმაწვილი აკვანმა ქვეშ ამოიდო და ტირილს უფრო მოუმატა, მაგრამ დედამ ყური არ ათხოვა და ამნაირად ყმაწვილი მოკვდა.

იმავე სოფელში ერთმა პატარა დედამ ყმაწვილი კალთაში გამოიხვია და სამშობლოში მიდიოდა; როცა მივიდა, ნახა, რომ ყმაწვილი დამხრჩვალიყო.

აი, ესეთი უბედურება ხშირათ ეწვევათ ხოლმე ყმაწვილებს უგუნური დედების წყალობით.

ანნა ცხვედაძე

იანვრის 31-ს, 1875 წ.

რუსეთი

ოდესის საქალაქო გამგეობას თავის უკანასკნელს სხდომაში გადაუწყვეტია, რომ ქალაქის მოთავეს, რომელსაც დღემდი წელიწადში 12,000 მანეთი ეძლეოდა ჯამაგირი, დღეის შემდეგ მხოლოდ 7,000 მან. უნდა მიეცესო.

ამას გარდა კრებას ამავე სხდომაში გადაუწყვეტია, რომ ჩვენი ქალაქის სახალხო შკოლებისათვის წელიწადში 50,000 მანეთი დაენიშნოთო (დღემდი კი ქალაქი ამ საგნისთვის ყოველ წელიწადს 40,000 მანეთს სწირავდა).

ერთს პეტერბურლის გაზეთში იწერებიან, რომ ოდესის არხის ფაბრიკის პატრონებსა და მუშებს შუა განხეთქილება მომხდარაო. ამბობენ, რომ უმთავრესი მიზეზი ამისა ის გარემოება არის თურმე, რომ ფაბრიკის პატრონი ცოტა ჯამაგირს აძლევს იმათ და ძალიან სასტიკად ეპყრობა, ამ ფაბრიკაზე, ზემოხსენებული გაზეთის სიტყვით, ათას ექვსასი მუშა კაცი, ქალი და ყმაწვილი მუშაობს.

პოლტავის გუბერნიის ერთს სოფელს თავის საზოგადო კრებაში განჩინება დაუდგენია, რომ ჩვენი სოფლის ყველა გლეხები ეალდებულნი ვართ, შვილები გავგზავნოთ შკოლაში და წერა-კითხვა ვასწავლოთ.

ბაგეთი „ხმა“ გვაცნობებს, რომ რიაზანის ადრენდელი ღუბერნატორი სენატის პირველ დეპარტამენტს სამართალში მიუცია. ამ გადმდგარ ღუბერნატორს ერთი მწყემსის მოკვლას აბრალებენ; ერთხელ ნადირობის დროს ისეთ ნაირად სცემა თურმე ამ მწყემსს, რომ ის მოკვდა და მერე მკვდარი თავის კაცებს ჩუმათ სადღაც დაამარხვინა.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. ახლად მოსული სამზღვარ გარეთისა და რუსული გაზეთები დაწვრილებით გვაძლევენ ვერსალის ნაციონალური კრების იმ სხდომების ანგარიშსა, რომელზედაც ზოგიერთს კონსტიტუციურ კანონებზე და განსაკუთრებით სენატის წევრთა არჩევაზე ყოფილა მოლაპარაკება.

პასკალ დჰიუპრას წინადადების შემდეგ, (რომლის ძალითაც სენატის წევრნიც იმ წესითვე უნდა იყვენ არჩეულნი, როგორც ნაციონალური კრების დეპუტატებიო) მეორე დღეს მმართებლობას გამოუცხადებია კრებაში, რომ რადგანაც ამგვარი კანონის მიღება საფრანგეთის კონსერვატორულ ინტერესებს აენებს, ამის გამო მმართებლობა თანახმა არ არის იმათ მიღებაზედაო. ამის შემდეგ ორს თუ სამს ახალს წინადადებაზე ყოფილა მოლაპარაკება; მაგრამ სულ ბოლოს კრებას, ხმის უმეტესობით, უარ-უყვია მთელი კანონის პროექტი სენატის თაობაზე.

რესპუბლიკური პარტიის წევრს, დეპუტატს ბრისსონს, იმ წამსვე კრებაში ახალი წინადება შეუტანია, რომ, რადგანაც არა ერთი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ კონსტიტუციური კანონების დადგენა არ შეგვიძლია, დაეიშალნეთო და საფრანგეთმა ახალი კრება ამოარჩიოსო. ბრისსონს გარდა, ამ საგნის თაობაზე ბამბეტასაც ძლიერ ცხარე სიტყვა უთქვამს და თავის ჩვეულებრივის მჭევრმეტყველობით უმტკიცებდა პალატას, რომ მთელი საფრანგეთი ჩვენგან ვანთავისუფლებას თხოულობს, ყველა ცხადათ ხედავს, რომ ჩვენ არავითარი მკვიდრი საქმის დადგენა არ ძალ-გვიძსო. მაგრამ კრებას, 673 ხმიდამ 407 ხმის უმეტესობით, ერთხელ კიდევ უარი უთქვამს ამ წინადადებაზე.

გაზეთებში იწერებიან, რომ პარიჟის ბულვარებზე იმ დღეს დიდი მოძრაობა ყოფილა და თვითონ კრებაში საშინელი ხმაურობა და აყალ-მაყალი.

ახლა ორ დეპუტატს, ვადინქტონსა და ვოტრენს კიდევ ახალი პროექტი შეუტანიათ სენატის წევრების არჩევის თაობაზე და უცდიან—თუ ჯერ კამისია და მერე თვით ნაციონალური კრება რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

ესპანია. თავის ნებით გადამდგარი ესპანიის რესპუბლიკის უკანასკნელი პრეზიდენტი მარშალი სერრანო და ნამინისტრალი საგასტა, როგორც სამზღვარ გარეთის გაზეთებში სწერენ, მანიფესტის გამოცხადებას აპირებენ თურმე, რომლითაც ჰსურთ ესპანიის ხალხს ურჩიონ, რომ დონ-ალფონსის ეხლანდელს მმართებლობას დაემორჩილონ, რადგან კონსტიტუციური მონარხია ეფრო შეეფერება ესპანიას, ვიდრემ რესპუბლიკური მმართებლობაო.

თუ რა გვარ თავისუფლებას უნდა მოელოდეს ესპანიის ხალხი ამ დონ-ალფონსის მმართებლობისაგან, სხვათა შორის, ის გარემოებაც გვიმტკიცებსო, სწერენ ერთს გაზეთში, რომ ავიდა თუ არა ტახტზე, იმ წამსვე კლერიკალებმა თავლები გამოჭყიტეს, ხელახლად გაბატონების იმედი მიეცათ და რომის პაპმა მოლოცვა გამოუგზავნიაო.

არც ერთს უბედურებას არ მოუტანია ესპანიის ხალხისთვის იმდენი ენება, რამდენიც იეზუიტებმა მოუტანაო და ახლა, დონ-ალფონსის ხელში, როგორც სჩანს, ამათი მფლობელობა განახლდებაო.

იტალია. იტალიის მუშებს ბარიბალდისთვის დეპუტაცია გაუგზავნიათ და დიდს ბანკეტზე დაუპატიჟნიათ, რომელსაც საკუთრივ იმისთვის მმართავდნენ თურმე. მაგრამ ბარიბალდის უფროსს ვაჟს—მენნოტის—დეპუტაციისათვის გამოუცხადებია, რომ, საუბედუროთ მამა ჩემი ავათმყოფობისა და სისუსტის გამო ამ ბანკეტზე ვერ დაესწრებაო.

საგაასო

„დროების“ № მე-15 შენიშვნა-ზედ

უფ. რედაქტორო! თქვენის გაზეთის ძე-15 №-ში წავიკითხეთ ჭუთაისის სასულიერო სასწავლებლის საქმეების ცუდად წაყვანასა და მდგომარეობაზედ. უმორჩილესად გთხოვთ, ამისცეთ ადგილი ქვემომოყვანილ სიტყვებს, რომელიც იმ შენიშნვას შეეხება.

ხსენებულს სასწავლებელში რომ ყოფილიყო ზედამხედველად ინიერი და არა ამიერი, თუმცა სრულიად უნიჭოც, გარწმუნებთ, არაფერი არა ითქმოდარა, მართლაც რომ სასწავლებლის საქმე წამხდარიყოს. მაგრამ ეხლა რო ზედამხედველად აქ არის ქართველი, ნიჭიერი და ყოვლად პატიოსანი, ამისთვის ყოველის მხრივ ზოგიერთნი სცდილობენ წაუხდინონ სახელი და, თავიანთ ფიქრით, კიდევაც გაიცილონ *).

სირცხვილი მათთვის, რომ ამნაირ მანქანებით თქვენცა და საზოგადოებასაც ატყუებენ. დაგვერწმუნეთ—ეხლანდელი ზედამხედველი რომ საიმედო არ ყოფილიყო და სასწავლებლის საქმე ცუდათ წაეყვანა, ერთს დღესაც არ მოუთმენდა აქაური მთავრობა და კიდევაც დაითხოვდა.

ჩვენი სასწავლებლის საქმე თუ წინანდელზედ უკეთ არა, ნაკლებ არ მიდის ახლა და სრული იმედიცაა, რომ ამისთანა ზედამხედველის და მასწავლებლების ხელში, რომელნიც დღეს არიან, სასარგებლო და საქებარი სასწავლებელი დარჩება.

ქ. ბ.

ნარევი

ლეიპციგის წიგნების გამომცემელთ ისეთი წიგნის დაბეჭდვა განუზრახავთ, რომელშიაც ყველა გამოჩენილი გერმანიელების ცხოვრების აღწერა (ბიოგრაფია) იქნება. ყველა ვისაც კი თავის სამშობლოსთვის რაიმე სარგებლობა მოუტანია ან მეცნიერების მხრით, ან პოლიტიკურს და ან მწიგნობრობის, ყველა იქნება ამ წიგნში მოხსენებული, ყველასი ბიოგრაფია დაწერილებით იქნება აწერილი.

***

ქალაქის გამგეობისა და ნაციონალურ კრების გადაწყვეტილებით, პარიჟმა 220 მილიონი ფრანკის (თითქმის 65 მილიონი მანეთის) სესხის აღება მოინდომა, იმ პირობით რომ ქალაქი მსესხებელს წელიწადში 4½ სარგებელს მისცემდა. ყველგან, საცა კი ხელის მოწერა მიიღებოდა აუარებელი ხალხი იყო თურმე და მოუთმენელად ელოდნენ თავის რიგს, რომ მალე ხელი-მოეწეროთო. გაზეთებში სწერენ, რომ იმდღესვე რა დღესაც ხელის-მოწერა დაიწყო, პარიჟს ორმოცი იმდენი სესხი შეაძლიეს, რამდენის აღებაც ჰსურდა...

***

ერთი რომის გაზეთში იწერებიან, რომ ერთს იქაური გაზეთის რედაქტორი უფ. სანტონიო ვიოლსაც ღამე ხანჯლით მოუკლავს. ამბობენო, რომ ამის მიზეზი ის გარემოება ყოფილაო, რომ ეს პატიეცემული რედაქტორი ზოგიერთს ხალხის შემავიწროებლებზე ძალიან მკვეთ და სასტიკ სტატიებსა სწერდაო და იმათ მოქმედებას აშკარად საქვეყნოდ აცხადებდაო.

***

პეტერბურღში ერთი ქალი ადვოკატად გამოსულა. ამ ქალს ერთს მომრიგებელ მოსამართლესთან დაუცავს ვიდაც სისხლის სამართლის საქმეში გარეული დამნაშავე და, როგორც ამბობენ, ძალიან მარჯვეთ ულაპარაკია და კანონების ცოდნაც გამოუჩენია.

საკაჭრო

კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აღება, თერგის მაზრაში, შატოის ციხეში ზოგიერთი აუაზარმების გადაკეთება და რემონტი.

ამ საქმისთვის—9,801 მანეთია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება თფილისში ინჟენერის სამმართველოში ამ წლის 24 თებერვალს, უფრო დაწერილებითი პირობების შეტყობა იქვე შეიძლება.

კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს რათა იკისრონ იჯარით შემდეგი მუშაობა ოზურგეთში: დიდი ნაობახტის გადაკეთება. 78 ნავგირის პოლკისათვის აშენება: ქვითკირის სამლოცველოსი, ციხაუზი ლაზარეთთან, ქვითკირის სარდაფისა და აგრეთვე ქვითკირის სამრეცხველოსი,—სულ 12,570 მანეთისა და 55 კაპეიკისა.

ვაჭრობა იქნება თფილისში, ინჟენერის სამმართველოში ამ წლის თებერვლის 27-ს.

კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის სამმართველო გამოიხმობს მსურველთა, რათა იჯარით იკისრონ შემდეგი მუშაობა ბუნიბში, დაღესტნის მაზრაში: ქვითკირის კოშკის აშენება ქარა-კოისის მდინარის მარჯვენა ნაპირზე, რომლისთვისაც—16,457 მანეთია დანიშნული; შვიდი ბლოკ-ოფის და სტელაჟის გაკეთება არტილერიისათვის ამავე ცხეში—2,388 მანეთისა, სულ 18,845 მანეთისა.

ვაჭრობა იქნება თფილისში, საინჟენერო სამმართველოში, ამ თებერვლის 28-ს.

კავკასიის სამხედრო მაზრის ინჟენერის სამმართველო გამოიხმობს მსურველთა, რათა იჯარით იკისრონ შემდეგი მუშობა თფილისში უაზარმების რემონტისა, რომლისთვის დანიშნულია 7,481 მან. და 54 კაპ.

ვაჭრობა იქნება თფილისში, ინჟენერის სამმართველოში ამ თებერვლის 18-ს.

განცხადება

ნიკოლაოზ დიმიტრისძე ყიფიანი

თანაშემწე ნოტარიუსი ეექვილისა.

ვ ქალების ახალი წესის ძალით და ტფილისის სამოსამართლო პალატისაგან და აგრეთვე ტფილისისა და ჭუთაისის ოლქის სასამართლოებისაგან მიღებულის ნება დართვით აწარმოებს და დაიცავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს ტფილისის სამოსამართლო პალატაში, ტფილისის ოლქის სასამართლოში და ტფილისის მომრიგებელ მოსაჯულებთან. გარდა ამისა, თანახმა არის ტფილისს გარეთაც აწარმოოს და დაიცვას საქმეები ჭუთაისის ოლქის სასამართლოში და მომრიგებელ მსაჯულებთან როგორც თვით ჭუთაისში, აგრეთვე ტფილისის და ჭუთაისის გუბერნიების უბნებში.

აგრეთვე მიიღებს შედგენას საძიებო არზებისას, აპელაციის და კასაციის საჩივრებისას და სხვათა სასამართლოში შესატანი ქაღალდებისას და აგრეთვე სხვა და სხვა პირობათა და კანტრაქტების შედგენას.

ტფილისი. არენალის ქუჩა, ფულონოვისა (ანუ ბუჭყიევის) სახლებში. დილით თერთმეტ საათამდინ.

საღამოთი—ხუთი საათიდ მ შეიდ საათამდინ.

ფოჩტით ანუ ტელეგრაფით უნდა მოიწეროონ: Въ Тифлисъ, Николаю Киніани.

რაკ. გზა.	დილა.		ხალამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. .	9	18	10	—	1	68	1	38
გორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ჭუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია .	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	10				8	57	4	76
ფოთი . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ჭუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილნ.	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
თფილისი .	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. საღ 6 საათ
სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, ღამით.
ოდესას—პარასკევს, გათენებისას

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ბერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ჭუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსჰალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ და შ.ბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან—ყოველ დღე, კვირას გარდა.

	კაპ
წიგნის გაგზავნა რუსეთში:	
ლია წიგნის	5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	10

გირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 7 თებერვ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 33½ პენსი.	—	84
პარიჟში 351¾ სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	98	25
მოგებიანი(პირველ სესხი)	193	75
მოგებიანი (მეორე სესხი)	193	25
გრაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის (5½)	86	50
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის.	230	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქავკასის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზარდა

	მან	კაპ.
თფილისი, 12 თებერვ.		
პური შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	65
—ამერიკისა, ფუთი. .	6	60
ბაპინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	40
—თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	40
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	75
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	60
—ეზვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	7	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	5	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Февраля 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი